საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფცია

თავისუფალი მედია წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს. მისი უპირველესი დანიშნულება და მისიაა საზოგადოებრივი ინტერესების სამსახური, სანდო და მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელება, განათლებისა და კულტურის ხელშეწყობა, მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარება, უპირველეს ყოვლისა უნდა პასუხობდეს ერთ მთავარ ამოცანას - ის უნდა იყოს ეროვნული მედიასივრცის უპირობო ფლაგმანი. როგორც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაუწყებელი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხიანი პროდუქციის შექმნის ყველაზე მაღალ სტანდარტს, რაც პირდაპირ უნდა ასახავდეს მის რეიტინგს აუდიტორიის გამოკითხვებში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სატელევიზიო ბაზარზე არაერთი არხია, რომელსაც თავისი მიზნობრივი აუდიტორია ყავს, ამ პირობებში ცხადია, რომ მაყურებელთა მოსაზიდად და ინტერესის გასაღვივებლად კონკურენცია მზარდია. რა უნდა გაკეთდეს ამისათვის საზოგადოებრივ მაუწყებელზე:

იმისათვის, რომ არხი მეტად ყურებადი და მოთხოვნადი გახდეს, საჭიროა საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული გადაცემების, საავტორო პროგრამის თუ საკუთარ ბაზაზე მომზადებული დოკუმენტური ფილმების მომზადება, მათ შორის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, განსაკუთრებით, თუკი ეს ეხება ისტორიულ მოვლენებს ან ტექნიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საგანმანათლებლო პროგრამების, დოკუმენტური ფილმებისა და სპეციალური პროექტების მეშვეობით მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს ცოდნის გავრცელებას და უწყვეტ განათლებას. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით გაცოცხლებულმა მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენებმა მომავალ თაობებში უნდა გააღვივოს ეროვნული იდენტობის და სიამაყის გრძნობა. ცალკეულ აღნიშნვას

მოითხოვს მსოფლიოს მასშტაბით გაფანტული და ჯერაც უცნობი ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული კულტურულ-მატერიალური არტეფაქტებისა და მასალების ექსკლუზიურად მოპოვების და ფირზე აღბეჭდვის შესაძლებლობა, რაც ვფიქრობ, რომ სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბოლო წლებში განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახმარებით იქნება შესაძლებელი.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ეპოქაში, უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე ციფრული პლატფორმების, მობილური სერვისებისა და სოციალური მედიის მიმართულებების განვითარება, რათა კონტენტი ოპერატიულად ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი აუდიტორიისთვის.

გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების/ასაკის ინტერესებიდან გამომდინარე პროდუქციის შექმნა - იქნება ეს პოლიტიკური თოქ-შოუ, შემეცნებითი, გასართობი, სპორტული თუ სხვა შინაარსის გადაცემა. მეტ ყურადღებას საჭიროებს ასევე გადაცემები, რომლებშიც საუბარი იქნება ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების ინტერესებზე, პრობლემებზე, მათ ინიციატივებზე და მიღწევებზე. მიმაჩნია, რომ (სახელმწიფოსთან დადებული კონკორდატიდან გამომდინარე) საეთერო ბადეში გარკვეული ქრონომეტრაჟი უნდა დაეთმოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკითხებს, რათა მოსახლეობის ფართო ფენები ჯეროვნად იყვნენ ინფორმირებულნი იმ ღია თუ ფარული გამოწვევების შესახებ, რომელიც გარე (გლობალური) ფაქტორებით შეიძლება იყოს განპირობებული.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში თავსმოხვეულმა ლიბერალურმა ნარატივებმა გავლენა ქართულ მედიის სხვადასხვა სეგმენტზეც იქონია, რამაც ნაწილობრივ ზეგავლენა ფაქტობრივად მთელი თაობის ცნობიერებაზეც მოახდინა. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური გადაფორმატირების პირობებში და ქვეყნის წინაშე არსებული ეროვნული ამოცანების ხელშეწყობისთვის საჭიროა მედია კონტენტი, რომელიც უმტკივნეულოდ დააჩქარებს ხელოვნურად დანერგილი სტერეოტიპების თანმიმდევრულ აღმოფხვრას, მათ შორის პოლიტიკურად ყველაზე მგრძნობიარე ახალგაზრდა თაობაში.

რაც შეეხება ახალი ამბების და მიმდინარე მოვლენების გაშუქებას - საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმძღვანელობს რა „მაუწყებლის შესახებ კანონში“ და მარეგულირებელი კომისიის მიერ შემუშავებული დებულების პრინციპებით, არხის სარედაქციო პოლიტიკა უნდა იყოს მაქსიმალურად მიუკერძოებელი. პოლიტიკური შინაარსის მასალის (სიუჟეტის), რეპორტაჟის მომზადებისას საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა უნდა იზრუნოს გავრცელებული ინფორმაციის სანდოობასა და ოპერატიულობაზე. თუმცა ოპერატიულობას არ უნდა “შეეწიროს” ეთიკური და პროფესიული სტანდარტები. მნიშვნელოვანია, რომ სიახლეებში ჩანდეს მოსახლეობისთვის აქტუალური საკითხები - იქნება ეს კავკასიაში მიმდინარე ინტეგრაციული და ეკონომიკური მსხვილი პროექტები, სოციალური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა საჭირბოროტო საკითხები.

საყურადღებოა საარჩევნო საკითხების გაშუქებაც - საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი პირობები, საეთერო დრო და მოდერატორის ობიექტურობა. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია პოლიტ-სუბიექტთა შორის დებატების ისეთი კულტურის დანერგვა და ორგანიზება, რომ სწორედ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდეს სხვა სახელმწიფოებისა და მათი მაუწყებლებისთვის ეტალონი და არა პირიქით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრად ჩემი არჩევის შემთხვევაში, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევდი სპორტულ გადაცემებს და ასპარეზობათა ტრანსლაციების აუცილებლობას. უკანასკნელ წლებში ქართველი სპორტსმენები წარმატებულად ასპარეზობენ არაერთ სახეობაში, ამიტომ მიმაჩნია, რომ სპორტულმა რედაქციამ უფრო პროფესიონალურად უნდა მოახდინოს მატჩების და რეპორტაჟების კომენტირება.

დავით ახვლედიანი,

თბილისი, 4.06.2026